02/12

"22" 12 2017

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

თქვენი 2017 წლის 5 დეკემბრის №6/63660 წერილის პასუხად, რომლის მიხედვითაც ითხოვთ ჩვენს მოსაზრებებს 2 ერთეული უძრავი ქონების (ს/კ 01.11.13.001.028 და 01.11.13.001.052) ტერიტორიაზე გამავალი ჩვენი კომპანიის კუთვნილ ხაზოვან ნაგებობასთან მიმართებაში მომავალი მესაკუთრის/მესაკუთრეების მიერ შესასრულებელ პირობებთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ შ.პ.ს. "გამა"-ს საკუთრებაში არსებული ხაზოვანი ნაგებობა (ს/კ 01.00.009) წარმოადგენს საყრდენებზე გამავალი ფოლადის დ=100 საშუალო წნევის გაზსადენს, რომლიდანაც შენობა-ნაგებობები უნდა მოსცილდეს შემდეგი მანძილით: კერძოდ: საწარმოო და სასაწყობო შენობების, რომლებიც მიეკუთვნება ხანძრის საშიშროების მიხედვით: A და Б კატეგორიას - 5მ, ხოლო В.Г.Д კატეგორიას - 2მ; ადვილად აალებადი და საწვავი სითხეების ღია საწყობებიდან და წვადი მასალების საწყობებიდან: სამრეწველო საწარმოთა ტერიტორიის გარეთ - 20მ, საცხოვრებელი საზოგადოებრივი შენობები I-III ცეცხლმედეგობის ხარისხით არ არის ნორმირებული, ხოლო IV-V ცეცლმედეგობით - 5მ.

იმ შემთხვევაში თუ საჭიროება მოითხოვს გაზსადენის მიწის ნაკვეთის საზღვრებიდან გატანას ან მიწის ქვეშ ჩადებას, ასეთ შემთხვევაში მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ვალდებულია აღნიშნული სამუშაოები განახორციელოს საკუთარი სახსრებით საქართველოს კანონმდებლობის და უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვით. სამუშაოების დაწყებამდე სავალდებულოა რომ გაზსადენის გადატანის პროექტი, ტექნიკური მახასიათებლები და ფინანსური საკითხი (კერძოდ გაზსადენის გადატანის პროცესში ავტოგაზგასამართი სადგური მოცდენის ანაზრაურება) შეთანხმდეს შ.პ.ს. "გამა"-სთან, ხოლო ამის შემდგომ პროექტის შეთანხმება მოხდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტეტურის სამსახურთან.

პატივისცემით,

დირექტორი

დავით ჩახტაური

შპს გამა, ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. # 19, IV სართ, # 402; Gama ltd, Tbilisi,D.Gamrekeli str 19, IV fl, #402
ტელ/tel :+995 322 24 25 80; ფაქსი/fax : +995 322 24 25 90
ელ. ფოსტა/ email: info@gamagas.ge
ვებ.გვერდი/web.page: www.gamagas.ge

ეროვნული სააგენტოს
თბილისის მოსახლეობის
შემოსვლის. № 110624/2
"22" 12 2017
1 ფურცელი